2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საარჩევნო პროცესის მედია მონიტორინგი, შეფასება და შედეგები

აბსტრაქტი

2017 წელს ჩატარებული მასმედიის მონიტორინგი აჩვენებს, რომ ქართულ მედიასივრცეში კვლავ შენარჩუნებულია სუბიექტივისტური ტენდენციები, რაც უკავშირდება გარკვეული პოლიტიკური ან ფინანსური ჯგუფების ინტერესებს, რომლებიც კონკრეტული მასობრივი ინფორმაციის საშუალების უკან დგანან. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისთვის, რომ ქართული მედიასივრცე დაუახლოვდეს საარჩევნო კამპანიის გაშუქების ევროპულ სტანდარტს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, არჩევნები, მასმედია, მედია-მონიტორინგი

მედიის როლი სარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ძალზე მნიშვნელოვანია. სარედაქციო დამოუკიდებლობა, გამჭირვალობა და პროფესიონალიზმი არჩევნების გაშუქების საფუძველია. ჟურნალისტური დამოუკიდებლობისა თუ პასუხისმგებლობის ნაკლებობამ, ერთგვაროვანი მედიის პირობებში, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს არჩევნების შედეგებზე.

არჩევნების პროცესში ჟურნალისტები საკვანძო ფუნქციას ასრულებენ. დემოკრატიულ პროცესში ისინი მთავარი მოთამაშეები არიან. მათი მისიაა, საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით,

იმის შესახებ თუ რა დევს სასწორზე იმ კონტექსტში, რომლის ფარგლებშიც ტარდება არჩევნები; ასევე ინფორმაცია იმ კანდიდატებისა და პარტიების შესახებ, ვინც არჩევნებში მონაწილეობს (ი. ლანგი, მედია და არჩევნები).

ჟურნალისტებმა უნდა აჩვენონ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. მათ თავი უნდა შეიკავონ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისაგან, ასევე თავად არ უნდა გახდნენ მანიპულირებადი. ამისათვის, მათ უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის ზედმიწევნით გადამოწმება. სხვადასხვა პარტიებსა და კანდიდატებს აზრის გამოთქმის საშუალება სამართლიანად და მიუკერძოებლად უნდა მისცენ, დასვან კითხვები პროგრამების, ძველი დაპირებებისა და განცხადების შესახებ მის თაობაზე, თუ როგორ აპირებენ იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც მოქალაქეთა ყოველდღიური წუხილის საგანია და ასევე მათ ძირითად სოციალურ არჩევანზე (ჟ. მ. კოუტი, არჩევნების გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისათვის).

მედიამ კანდიდატების სპიკერის როლი კი არ უნდა შეასრულოს, არამედ აღწეროს მათი პროგრამები, გაშიფროს მათი განცხადებები და ამომრჩეველს პროგრამის კონტექსტი შესთავაზოს, რათა მათ არჩევანის გაკეთება თავისუფლად, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესძლონ, რომელიც მაქსიმალურად ობიექტური იქნება.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით მედიამონიტორინგი საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ ჩაატარა.

მედიასაშუალებებზე დაკვირვება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა ფარგლებში მიმდინარეობდა.

მონიტორინგის პერიოდში აკვირდებოდნენ საქართველოს მასშტაბით 14 სატელევიზიო არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს. სამონიტორინგო არხები იყო: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25. ანგარიში ასახავს 19 ივნისი - 8 ოქტომბრის პერიოდში გასული გადაცემების ანალიზს.

საინტერესოა მოცემულ პერიოდში **პარტიების გაშუქება: „ქართული ოცნება"** ყველაზე უარყოფითად **რუსთავი 2-ის** (40%) ეთერში გაშუქდა;

რუსთავი -2 სიმპათიას ამჟღავნებდა „**ნაციონალური მოძრაობისა"** და მისი თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ. მაუწყებელმა ყველაზე დიდი დრო ჯამში **ქართულ ოცნებას** დაუთმო, მომდევნო ადგილებზეა **ნაციონალური მოძრაობა** და **ევროპული საქართველო;**

ტელეკომპანია **ობიექტივი** ერთადერთი არხია, სადაც დათმობილი დროის მიხედვით მე-2 ადგილზეა **პატრიოტთა ალიანსი** (ოდნავ ნაკლები დრო დაეთმო, ვიდრე ქართულ ოცნებას). პატრიოტთა ალიანსი ობიექტივზე ნეგატიურად საერთო არ გაშუქებულა.

რაც შეეხება **საზოგადოებრივ მაუწყებელს** - მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვება ,,**მოამბეში**“ ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო. დათმობილი დროიდან, ნეიტრალური იყო 82%, დადებითი 10 %, ხოლო უარყოფითი 8 %.

ანგარიშის მიხედვით, ყველაზე დადებითად პრემიერ-მინისტრი გაშუქდა, დათმობილი დროის 14 პროცენტი დადებითი იყო, ხოლო 1 პროცენტი უარყოფითი. ყველაზე უარყოფითად კი მიხეილ სააკაშვილი წარმოჩნდა, რადგან მისთვის დათმობილი დროის 22 პროცენტი ნეგატიური იყო. პარტიებს შორის ყველაზე პოზიტიური გაშუქება ჰქონდა **ქართულ ოცნებას** (10 %).

თბილისის მერობის კანდიდატებს შორის **პირველი არხის** ეთერში ყველაზე მეტი დრო *ქართული* ოცნების კანდიდატს დაეთმო. კახა კალაძის დადებითი გაშუქება მინიმუმ სამჯერ აღემატებოდა კონკურენტების დადებით გაშუქებას. მერობის კანდიდატების უარყოფითი გაშუქება **პირველ არხზე** რაოდენობრივი თვალსაზრისით შესამჩნევი არ ყოფილა.

საინტერესოა **რუსთავი 2-ის** მონიტორინგის ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ მთავარ საინფორმაციო გამოშვებასა და ***P.S.-*** *ში* ყველაზე ხშირად მთავრობა გაშუქდა, ყველაზე დადებითად - ნაციონალური მოძრაობა, მისთვის დათმობილი დროის 9 % პოზიტიური იყო.

ყველაზე უარყოფითად ადგილობრივი ხელისუფლება წარმოჩნდა, დათმობილი დროის 49 პროცენტით.

რუსთავი-2-ის ეთერში ნაციონალური მოძრაობ-ის უარყოფითი გაშუქება მხოლოდ 1 % იყო, ხოლო მიხეილ სააკაშვილის 3%, ამავე დროს 94% იყო ნეიტრალური, ხო-ლო 3 % პოზიტიური გაშუქება.

რუსთავი-2-მა ყველაზე დადებითად თბილისის მე-რობის კანდიდატებს შორის ზაალ უდუმაშვილი გააშუქა, ყველაზე უარყოფითად კი კახა კალაძე.

ტელეკომპანია **„იმედის"** მედია მონიტორინგის ანგა-რიშში ნათქვამია, რომ „იმედის ქრონიკამ "ყველაზე მეტი დრო პარტია **ქართულ ოცნებას** დაუთმო, ყველაზე დადე-ბითად მთავრობა გაშუქდა - დათმობილი დროის 10 პრო-ცენტით. ყველაზე ნეგატიურად მიხეილ სააკაშვილი - დათმობილი დროის 52 პროცენტით. **საზოგადოებრივი მა-უწყებლის** გარდა, თბილისის მერობის კანდიდატებს შო-რის ყველაზე მეტი დრო კახა კალაძეს დაეთმო. დადებითი ტონით ელენე ხოშტარია ლიდერობდა, უარყოფითით კი კახა კუკავა.

ტვ პირველის მთავარ საინფორმაციო გამოშვე-ბა "დღის" ამბებში ეთერში ყველაზე ხშირად პარტია **ქარ-თული ოცნება** გაშუქდა, თუმცა ყველაზე უარყოფითად; მისთვის დათმობილი დროის 24 % ნეგატიური იყო. დადე-ბითი ტონით პრემიერ-მინისტრი ლიდერობს (5 %). თბი-ლისის მერობის კანდიდატებს შორისაც ყველაზე მეტი დრო ქართული ოცნების კანდიდატს დაეთმო და ის ყვე-ლაზე ნეგატიურად გაშუქდა. ყველაზე დადებითად ზაალ უდუმაშვილი იყო წარმოჩენილი.

ობიექტივის მთავარ საინფორმაციო გამოშვება ახალ ამბებში ყველაზე მეტი დრო ქართულ ოცნებას დაეთმო. გაშუქებით მეორე ადგილას მყოფი პატრიოტთა ალიანსი ყველაზე დადებითად გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 9 პროცენტი პოზიტიური იყო და უარყოფითი ტონი საერთოდ არ ყოფილა.

ყველაზე უარყოფითად, 66 პროცენტით **ნაციონალური მოძრაობა** გააშუქეს და დადებითი ტონი საერთოდ არ ყოფილა.

თბილისის მერობის კანდიდატებს შორის ყველაზე დადებითად პატრიოტთა ალიანსის კანდიდატი ირმა ინაშვილი გაშუქდა, ყველაზე უარყოფითად კი კახა კალაძე.

საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება მთავარის ეთერში, ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ ხელისუფლებას დაეთმო. ყველაზე დადებითად პრემიერ-მინისტრი წარმოჩნდა, მისთვის დათმობილი დროის 6 პროცენტით. ყველაზე უარყოფითად კი - ადგილობრივი ხელისუფლება, დათმობილი დროის 19 პროცენტით.

საინფორმაციო გამოშვებაში ქართული ოცნებისთვის დათმობილი დროის 18 პროცენტი იყო ნეგატიური, ხოლო ერთი დადებითი. მთავრობის გაშუქებისას მხოლოდ 14 პროცენტი იყო უარყოფითი.

2017 წლის მედია მონიტორინგის ანალიზი აჩვენებს, რომ ქართულ მედია სივრცეში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია სუბიექტური ტენდენციები. რაც განპირობებულია

კონკრეტული მედია საშუალებებში უკან მდგომი პოლიტიკური თუ ფინანსური ძალების ინტერესებით. რამდენადაც ქართული მედია სივრცე აირეკლავს პოლიტიკურ ძალთა სიჭრელეს, შეიძლება ეს თავისებურება მივიჩნიოთ გარკვეულ ბალანსის მექანიზმად საარჩევნო პროცესის გაშუქებაში., რაც აჩვენებს, რომ ამ კუთხით პროგრესი საკმაოდ უმნიშვნელოა და ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ ქართული მედია სივრცე დაუახლოვდეს ევროპული ტიპის მედია მაუწყებლობას საარჩევნო პროცესების გაშუქებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იასა ლანგი, მედია და არჩევნები, თბ. 2003
2. ჟან მარი კოუტი, არჩევნების გაშუქების სახელმძღვანელო, MDF-ის მედიის საარჩევნო გზამკვლევი;
3. დამხმარე სახელმძღვანელო მედიის წარმომადგენლებისათვის. საარჩევნო სისტემების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, 2017

Media Monitoring, Evaluation and Results of the Election Process of Local Self-government Elections in 2017

Resume

The role of Media in the process of an election campaign is very important. Edition independence, transparency and professionalism are the basis of coverage the elections. The lack of journalistic independence or reconcilability can negatively affect the election results.

The analysis of media monitoring in 2017 shows that the subjective trends are still sustained in Georgian Media Space, which is due to the interest of political or financial forces, which stand behind the concrete Media outlets. As far as Georgian media space is reflected by the grip of political forces. This feature can be considered as a mechanism of a certain balance in the process of election coverage, which unfortunately shows that the process is quite insignificant in this regard and there is still a lot of to be done `in order Georgian media space to be closer to European type Media broadcasts for coverage of election processes.

Keywords; Georgia, elections, mass media, media monitoring